CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION

# საქართველოს ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

## მეხუთე ტალღა

**ივლისი, 2015**

# წინასიტყვაობა

- წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებისა და მოლოდინების შესწავლა.
- კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები გამდიდრებულია ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით და სხვა წყაროებით.

- კვლევის ამოცანაა მიღებული შედეგები გააცნოს საზოგადოებას და ხელისუფლებას, რათა მათ შეიტყონ დარგში მიმდინარე მოვლენების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტთა მოლოდინები და მოსაზრებები სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას გაითვალისწინონ.

- კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებს და მოლოდინებს.
- რესპონდენტთა მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს რეალური ტენდენციების წარმოსაჩენად.

CURATIO
INTERNATIONAL
FOUNDATION




# კვლევის ძირითადი მიგნებები

# კვლევის ძირითადი მიგნებები 1




- ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებით ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს N 1-ელ წარმატებად “C” ჰეპატიტის პროგრამა დასახელდა.

- ბარომეტრის მეოთხე და მეხუთე ტალღების მონაცემთა ანალიზის მიხედვით რეცეპტების ინსტიტუტის ამოქმედება ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან ექსპერტთა მოსაზრებებით მნიშვნელოვნად შემცირდა მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარება.



- აღნიშნული თავისთავად გულისხმობს მედიკამენტებზე მოსახლეობის ხარჯების შემცირებას,  თუ ამ მოვლენის საპასუხოდ ფარმაცევტული კომპანიები ფასებს არ გაზრდიან.

# კვლევის ძირითადი მიგნებები 2

❖ 2015 წლის 1-ლი კვარტლის მონაცემებით კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგენს 522,637 დაზღვეულს.




❖ ზემოთ მოყვანილი ფაქტი დადებითი ზეგავლენის მქონეა, რადგან რაც უფრო მეტად გაიზრდება კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა, სავარაუდოა, რომ შემცირდება  საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის ტვირთი.

# კვლევის ძირითადი მიგნებები 3

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ გაიზარდა ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მოსახლეობის მიმართვიანობის მაჩვენებელი, რაც პროგრამის მნიშვნელოვანი პოზიტივია;

- გაზრდილია ასევე ჰოსპიტალური სერვისების მოხმარებაც. განსაკუთრებით კი გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების მოხმარების მაჩვენებელი (314%-ით), რაც ბადებს ლოგიკურ კითხვას:



- გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების ზრდა ხომ არ არის საავადმყოფოების ხელოვნური პასუხი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე და ხომ არ შეუქმნის პრობლემებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტს, რომელიც უკვე ისედაც მნიშვნელოვნად არის გადახარჯული?

# კვლევის ძირითადი მიგნებები





- ბარომეტრის მესამე ტალღის (ივნისი, 2014წ) შემდეგ დღემდე ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების მოსაზრებებით ერთერთ მთავარ პრობლემად მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდა სახელდება.
- მედიკამენებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემებს ასევე ხაზს უსვამს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული „ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისა და დანახარჯების კვლევა 2014" სადაც ნათქვამია, რომ ჯიბიდან გადახდები მედიკამენტებზე გაიზარდა და განსაკუთრებით მოსახლეობის უღარიბეს ფენებში.
- სავარაუდოა, რომ ღარიბებს შორის მედიკამენტებზე ჯიბიდან გადახდების ზრდა მოხდა ამბ. სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის  ხარჯზე.

# კვლევის ძირითადი მიგნებები

- ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მიხედვით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე დახარჯულია 14%-ით ანუ 32 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე ეს წლის დასაწყისში იყო დაგეგმილი და ეს თანხა არ ითვალისწინებს იმ დაგროვილ დავალიანებებს, რომელთა მოცულობამაც ბოლო 6 თვეში იმატა.
- აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს ჯანდაცვის სერვისების მაღალი უტილიზაციით და განსაკუთრებით გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის ძალიან სწრაფი ზრდით.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები საფრთხის შემცველია და გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან დროულ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.





# კვლევის შედეგები დეტალურად

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION




## მთავრობის პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში, სპეციალისტთა შეფასებები, ოფიციალური და კვლევითი მონაცემები

# ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებები რეცეპტების ამოქმედების შედეგებთან დაკავშირებით




- ბარომეტრის მეოთხე და მეხუთე ტალღის მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით რეცეპტების არამიზნობრივი მოხმარება შემცირებულია.

- მეოთხე და მეხუთე ტალღის მონაცემები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა.

# ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტებზე ფასების შეფასება




- მედიკამენტების ფასების ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაძვირებას რესპონდენტთა **89.5%** აღნიშნავს, რაც თანხვედრაშია საქსტატის ოფიციალურ მონაცემებთან.

# ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია






- 2012 წლიდან ამბულატორიული მიმართვიანობის მაჩვენებელი ზრდის ტემპით ხასიათდება, რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა.
- აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელს 2012-თან შედარებით 39%-ით არის მომატებული.

*წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი სტატისტიკური ცნობარი*

# ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია

- ჯანდაცვის სერვისებთან ხელმისაწვდომობის ზრდას უსვამს ხაზს მსოფლიო ბანკისა და ჯანმოს კვლევაც - „ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისა და დანახარჯების კვლევა (2014)“

| პაციენტების წილი (%), რომლებმაც შეძლეს დანიშნული მედიკამენტების შეძენა 2010 და 2014 წწ. | | | |
|---|---|---|---|
| წელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| 2010 | 82.1 | 81.5 | 82.6 |
| 2014 | 85.3 | 86.7 | 83.9 |

| პაციენტების წილი (%), რომლებმაც შეძლეს საჭირო ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, 2010 და 2014 წწ. | | | |
|---|---|---|---|
| წელი | სულ | ქალაქი | სოფელი |
| 2010 | 85.4 | 88.5 | 82.4 |
| 2014 | 89.2 | 91.9 | 85.6 |

- კვლევის ანგარიშში ნათქვამია, რომ მედიკამენტებსა და ლაბორატორიულ გამოკვლევებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, თუმცა ამ შემთხვევაში ქალაქის მოსახლეობამ ისარგებლა უფრო მეტად ვიდრე სოფლის მოსახლეობამ

*წყარო: ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისა და დანახარჯების კვლევა 2014*

# ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია

2




*წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სტატისტიკური ცნობარი*

- გეგმიური ქირურგიული ოპერაციების მაჩვენებელი 2008 წლიდან დღემდე ყოველწლიურად სტაბილურად მატულობს.
- გადაუდებელი ოპერაციების მაჩვენებელი კი ბოლო 2 წლის მანძილზე 314%-ით არის გაზრდილი, რაც ლოგიკურ კითხვას ბადებს :

**რამ გამოიწვია გადაუდებელი ოპერაციების ასეთი სწრაფი მატება, რომელიც მხოლოდ ბოლო 2 წლის განმავლობაში მოხდა?**

# ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე ფასების შეფასება

- მესამე ტალღიდან მოყოლებული სულ უფრო პესიმისტურია ექსპერტთა შეფასებები სამედიცინო მომსაურებაზე ფასების შეფასებასთან დაკავშირებით
- რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (**56.1%**) აღნიშნავს სამედიცინო მომსახურების ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაძვირებას



# როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები საქ. სტატის ოფიციალურ მონაცემებს?




**შენიშვნა**: ერთ წლიან პერიოდებად აღებულია გასული წლის ივნისიდან მომდევნო წლის ივნისამდე პერიოდები

- 2015 წლის ივნისში გასული წლის ივნისთან შედარებით ჯანდაცვაზე ფასები გაზრდილია 7.4%-ით.
- ამ პერიოდისთვის ფასების ყველაზე მაღალი ზრდა ბათუმსა(+11.9%) და გორში(+8.3%) ფიქსირდება.

*წყარო: საქსტატი, ინფლაცია საქართველოში, 2015*

# ბოლო 6 თვის მანძილზე მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება




- ალბათ მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდის გამოხატული ტენდენციების გამო რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესებას, მნიშვნელოვნად შემცირდა მესამე ტალღის შემდეგ - 42%-დან - 8.8%-მდე.

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION




# ჯანდაცვის ბიუჯეტი

# სპეციალისტთა მოსაზრებები მთავრობის მიერ სამედიცინო დაწესებულებებისთვის თანხების გადარიცხვის დროულობასთან დაკავშირებით

- წინა ტალღასთან შედარებით 19%-ით შემცირებულია დაწესებულებათა მენეჯერების რაოდენობა, რომლებიც მთავრობის მიერ თანხების დროულად გადარიცხვას აღნიშნავდნენ.
- რესპონდენტთა თითქმის მეოთხედი თანხების გადმორიცხვის მნიშვნელოვან დაგვიანებაზე საუბრობს
- ხოლო რესპონდენტთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ადგილი აქვს თანხების ჩარიცხვის ოდნავ ან მნიშვნელოვან დაგვიანებას.



# საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები 2015 წ.

## 6 თვის ბიუჯეტის შესრულება




- 2015 წლის 29 ივნისის მდგომარეობით საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტით დახარჯულია 263.5 მლნ ლარი, რაც 14%-ით ანუ 32 მილიონი ლარით აჭარბებს 6 თვის თავზე დასახარჯი ბიუჯეტის მოცულობას.
- ეს თანხები არ ასახავს იმ დაგროვილ დავალიანებებს, რომლებზეც რესპონდენტები მიუთითებენ და რომელთა მოცულობამ სავარაუდოდ ბოლო 6 თვეში იმატა.
- ამ თანხების გათვალისწინებით გადახარჯვის რეალური მაჩვენებელი ალბათ კიდევ უფრო დიდია

წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერა.*

*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა*
*2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში*
*პროგრამა 35 03; 35 03 01*
*ყოველდღიური ოპერატიული ანგარიში 29.06.2015*




# ბოლო 6 თვეში განხორციელებული რეფორმები

# ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს ძირითადი წარმატება-მიღწევა

- აღნიშნულ კითხვაზე ყველაზე ხშირად დასახელებულ წარმატებებს შორის პირველ ადგილზეა „C ჰეპატიტის პროგრამა“,
- შემდეგ მოდის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა

N1




N2



# რა არის ჯანდაცვის სფეროში ის 3 ძირითადი გამოწვევა-პრობლემა, რომელიც მთავრობამ დროულად უნდა მოაგვაროს?



რესპონდენტების უმრავლესობა N1-ლ გამოწვევად პროგრამის მზარდი დანახარჯების არსებობის ფონზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვა-მართვას ასახელებენ.



N მე-2 პრობლემად გამოიკვეთა სამედიცინო კადრების უწყვეტი განათლების სისტემასთან არსებული საკითხები




N მე-3 გამოწვევად სამედიცინო მომსახურების ხარისხი იქნა დასახელებული

# ექსპერტთა და სპეციალისტთა შეფასებები სახელმწიფოს მიერ კერძო მფლობელობიდან სამედიცინო დაწესებულებების გამოსყიდვაზე

- გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა (65%) მიიჩნევს, რომ სამედიცინო დაწესებულებების კერძო მფლობელობიდან გამოსყიდვა არ არის მიზანშეწონილი.



# იცით თუ არა რას მოიცავს ჯანდაცვის სფეროს რეფორმის მესამე ეტაპი?

- ექსპერტთა და სპეციალისტთა უმრავლესობა 46% თვლის, რომ ნაკლებად ესმის თუ რას მოიცავს ჯანდაცვის სფეროს რეფორმის მესამე ეტაპი,
- მხოლოდ 12% აღნიშნავს სრულ ინფორმირებულობას ზემოთ ხსენებულ საკითხთან მიმართებაში.



CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION



# სახელმწიფო პოლიტიკა: კერძო სადაზღვევო ბაზარი და მისი შესაძლო პერსპექტივები

# სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების რეგულირების კუთხით მთავრობის მიერ ბოლო 6 თვის მანძილზე გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობის შეფასება




გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (**51.8%**) მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანიების რეგულირების კუთხით ბოლო 6 თვის მანძილზე გადადგმული ნაბიჯები ეფექტური იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მესამე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით ბოლო 6 თვის მანძილზე არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

# როგორ ეხმიანება სპეციალისტთა მოსაზრებები კორპორატიულად დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილებას




- 2013 წლიდან 2014 წლამდე კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა შემცირდა **117,326** ადამიანით. 2015 წლის 1-ლი კვარტლის მონაცემებით ირკვევა, რომ კერძო დაზღვეულთა რაოდენობა **105,190** ადამიანით არის მომატებული

წყარო: *საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური - სტატისტიკური მონაცემები (სახ.სადაზღვევო პროგრამების გარეშე)* *http://insurance.gov.ge/*

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION



# სამომავლო მოლოდინები

# ექსპერტთა მოლოდინები სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით




❖ ექსპერტთა თითქმის ნახევარი(**46.3%**) მიიჩნევს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსურ ხელმისაწვდომობა ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაუარესდება.

# მოლოდინი სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით

❖ შემდეგ 6 თვეში სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებას მოელის რესპონდენტთა **59.3%**



# მოლოდინი მედიკამენტებზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით




- მედიკამენტებზე ფასების ზრდის მოლოდინი ექსპერტებში ბარომეტრის მესამე ტალღის მონაცემთა ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა
- ამ ეტაპზე რესპონდენტთა დაახლოებით **60%** აღნიშნავს რომ მედიკამენტებზე ფასები ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაიზრდება

# მოლოდინი კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებით




❖ იმ ექსპერტთა რაოდენობა, რომლებიც კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის ზრდას ელიან **15%-ით** არის გაზრდილი წინა ტალღასთან შედარებით.

# მოლოდინი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის პაციენტის მიერ ჯიბიდან გადახდების გაზრდასთან დაკავშირებით




- ❖ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ შემდეგ 6 თვეში პაციენტის მიერ ჯიბიდან გადახდები ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაიზრდება.
- ❖ რესპონდენტთა მესემედის აზრით, სამედიცინო მომსახურებაზე ჯიბიდან გადახდები არ შეიცვლება.

# ექსპერტთა მოლოდინი მოსახლეობის ფინანსურ დაცულობასთან დაკავშირებით




❖ წინა ტალღასთან შედარებით **50%**-ით არის გაზრდილი იმ ექსპერტთა რაოდენობა, რომლებიც შემდეგ 6 თვეში მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებას ელიან.

# მოკლე ცნობები კვლევაში მონაწილეთა შესახებ

- ბარომეტრის მეხუთე ტალღაში მონაწილე ექსპერტთა და სპეციალისტთა სპექტრი უცვლელია:
  - სამთავრობო სტრუქტურებიდან
  - სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან
  - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან
  - პროფესიული ასოციაციებიდან და სადაზღვევო ორგანიზაციებიდან
  - კვლევითი საექსპერტო ჯგუფებიდან.
- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით  და სასურველი გენდერული ბალანსით:
  - მონაწილეთა 87.5-ს აქვს ჯანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წლიანი და მეტი გამოცდილება
  - მონაწილეთა 76 %-ს ასაკი 40 წელზე მეტია
  - მონაწილეთა 53 % ქალბატონია.

# დ ა ს ა ს რ უ ლ ი

საავტორო უფლებები დაცულია. შედეგების ციტირება ნებადართულია წინასწარი თანხმობის გარეშე მაგრამ აუცილებლად წყაროს მითითებით

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION